



სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
იუნკერთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

გორი
2019 წელი

თავი I. ზოგადი დებულებები, მიზნები, ამოცანები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში- „მეთოდოლოგია“) ეფუძნება, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა სამართლებრივ აქტებს;
- 1.2. წინამდებარე მეთოდოლოგიის შემუშავების გზით იუნკერებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით აკადემია განსაზღვრავს იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმებს, რომელიც ითვალისწინებს აკადემიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა ასპექტს:
 - ა) აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს/პრაქტიკის/საველე გასვლის/ლაბორატორიული მუშაობის განხორციელების ობიექტი(უძრავი და მოძრავი ქონება);
 - ბ) ადამიანურ რესურსს(აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სამხედრო ინსტრუქტორები და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირები);
 - გ) შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
 - დ) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას;
 - ე) საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობას.
- 1.3. აკადემიის იუნკერთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზე ნიშნულებთან;
- 1.4. აკადემიაში ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხ ან/ და ჩარიცხულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა.

მუხლი 2. იუნკერთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების მიზნები.

- 2.1. მეთოდოლოგიის დამტკიცების მიზანია აკადემიის იუნკერთა საერთო კონტიგენტის ფარგლებში შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე/ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე იუნკერთა რელევანტური გადანაწილება საგანმანათლებლო საქმიანობის მაღალ დონეზე განსახორციელებლად.

მუხლი 3. იუნკერთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების ამოცანები

- 3.1 აკადემიის მზაობა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის;
- 3.2 საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში შესაძლო რისკების გათვლა.

თავი II. იუნკერთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების წესი

მუხლი 4. იუნკერთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავების წესი

- 4.1. მეთოდოლოგია შემუშავებულია აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტების, განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით;
- 4.2. იუნკერთა კონტიგენტის რაოდენობას ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საჭიროებებიდან გამომდინარე.
- 4.3. ყოველ სასწავლო წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და აკადემიის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში ხორციელდება იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვის პროცესი მომავალი სასწავლო წლისთვის, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაიზარდა ან/და შემცირდა კონტიგენტის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით.
- 4.4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სასწავლო წლის დაწყებამდე ამტკიცებს კოლეჯში/ბაკალავრიატში მისაღებ იუნკერთა რაოდენობას;
- 4.5. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით იუნკერთა კონტიგენტი განისაზღვრება ბაკალავრიატის/კოლეჯის მიერ, რომელიც ეფუძნება ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ბაკალავრიატის/კოლეჯის საბჭოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;
- 4.6. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე იუნკერთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროგრამების მიხედვით შეიძლება იყოს განსხვავებული;
- 4.7. იუნკერთა ზღვრული რაოდენობის ქვოტიდან გამომდინარე ყოველწლიურად პროგრამაზე მისაღები იუნკერების რაოდენობა შეიძლება იყოს განსხვავებული, რომელიც გამომდინარეობს ქვოტის ფარგლებში დარჩენილი რაოდენობიდან, პროგრამის სპეციფიკიდან, ადამიანური/მატერიალური რესურსიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;

თავი III. იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები

მუხლი 5. იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვის მიზნით გასათვალისწინებელი ასპექტები

5.1 აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი/პრაქტიკის/საველე გასვლის განხორციელების ობიექტი

ა) აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი - ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე; დამხმარე ფართი (ფოიე, სარეკრეაციო სივრცე და სხვ.), თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები; კომპიუტერული კლასები; ლაბორატორიები; აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე; საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მერხი, მაგიდა, სკამი, წიგნები, პროექტორები, სასწავლო პრაქტიკის/საველე გასვლის განხორციელებისთვის საჭირო მასალა/აღჭურვილობა და სხვ;

ბ) პრაქტიკის განხორციელების ობიექტი - პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით აღჭურვილი

დაწესებულება რომელთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება.

გ) შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე შეესაბამება აკადემიის სტრუქტურას;

5.3. დამხმარე ფართი მოიცავს ფოიეს, სარეკრეაციო სივრცეს და სხვ., რაც უზრუნველყოფს იუნკერთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთათვის საჭირო დამატებით სივრცეს.

5.4. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, რომელთა რაოდენობა დგინდება დატვირთვის სქემიდან გამომდინარე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის /საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ითვლისწინებს სასწავლო აუდიტორიაში სალექციო/სასემინარო/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დასაშვებ/რეკომენდირებულ იუნკერთა რაოდენობას;

5.5. აკადემიის იუნკერთა საერთო კვოტის შესაბამისი კომპიუტერები და სხვა ტექნიკური საშუალებები, ასევე შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, რომელთა რაოდენობა დგინდება დატვირთვის სქემიდან გამომდინარე სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კომპიუტერული კლასები ასევე განკუთვნილია იუნკერთა და პროფესორთა თავისუფალი სარგებლობისთვის;

5.6. შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე იუნკერთა კონსულტაციებისა და აფილირებული პროფესორებისთვის ასევე სამეცნიერო მუშაობისთვის განკუთვნილი კაბინეტები;

5.7. ბიბლიოთეკა - აღჭურვილი საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე შესაბამისი წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით და საჭირო ინვენტარით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობას. საბიბლიოთეკო სივრცე (იუნკერთა, მსმენელთა და პროფესორ-მასწავლებელთა/სამხედრო ინსტრუქტორთა სამუშაო სივრცე) და რესურსი ადექვატურია იუნკერთა საერთო კვოტის.

მუხლი 6. ადამიანური რესურსი

ადამიანური რესურსი-ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, სამხედრო ინსტრუქტორები, დამხმარე პერსონალი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პირები.

6.1 ადმინისტრაციული რესურსი

6.1.1 აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს განვითარების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და აკადემიის მიზნების მიღწევას.

6.1.2 აკადემიის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა გამომდინარეობს მისი საქმიანობის სპეციფიკიდან და განსაზღვრული იუნკერთა კვოტის ფარგლებში ადმინისტრირებას ახდენს სამტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალით და მოწვეული (ხელშეკრულებით) სპეციალისტებით;

6.1.3 სამტატო ნუსხა ითვალისწინებს ადმინისტრაციული რესურსის გარკვეული სეგმენტის ზრდას აკადემიის მიზნების, ამოცანების, სტატეგიული

გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების, იუნკერთა ქვოტის გაზრდის ასპექტებს;

6.1.4 მოწვეული სპეციალისტი არის კონკრეტული საქმის შესასრულებლად გარკვეული პერიოდით აყვანილი თანამშრომელი.

6.1.5 იუნკერთა კონტიგენტის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იყოს აკადემიის ადმინისტრაციული რესურსი.

6.2 აკადემიური პერსონალი

6.2.1 აკადემიური თანამდებობის პირი თავის კომპეტენციის ფარგლებში უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს იუნკერთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას; ასევე მას აქვს ადმინისტრაციული დატვირთვა.

6.2.2 აკადემიური პერსონალის რაოდენობა გამოითვლება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ფარგლებში საერთო მაქსიმალური ქვოტის გათვალისწინებით პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის სპეციფიკა, დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები;

6.3 მოწვეული სპეციალისტი

6.3.1 მოწვეული სპეციალისტი თავის კომპეტენციის ფარგლებში უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს იუნკერების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

6.3.2 მოწვეული სპეციალისტის რაოდენობა განისაზღვრება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ფარგლებში თითოეული სასწავლო წლისათვის განსაზღვრული მოსალოდნელი მისაღები იუნკერთა რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებიდან გამომდინარე;

მუხლი 7. შრომითი ურთიერთობები

7.1 აკადემიაში დასაქმებული პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და აკადემიის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 8. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა და საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა

8.1. აკადემიის ყველა კურსდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. შესაბამისად მოთხოვნადი და აქტუალური საგანმანათლებლო პროგრამა/სპეციალობა დგინდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. გარდა კოლეჯის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იუნკრებისა, რომლებიც მოვლენილები არიან სხვა სახელწიფო უწყებებიდან (უსაფრთხოების სექტორი).

მუხლი 9. სამიზნე ნიშნულები

9.1. აკადემიის იუნკერთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა შემდეგ სამიზნე ნიშნულებთან:

ა. სასწავლო ფართის ოდენობა

- ბ. მატერიალური ბაზა-იუნკერთა განთავსება
- გ. აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორების რაოდენობა;
- დ. ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
- ე. კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა;

9.2. იუნკერთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესრულების მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ა. დოკუმენტაცია ფლობის შესახებ;
- ბ. ვიზუალური დათვალიერება;
- გ. ინტერვიუება (იუნკერი; ადმინისტრაცია; პროგრამის ხელმძღვანელი) (დანართი N1; დანართიN2;)

თავი IV. დასკვნითი დებულებანი

- 10.1 წინამდებარე მეთოდოლოგია ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
- 10.2 წინამდებარე მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა რეგულაციების შესაბამისად აკადემიური საბჭოს დამტკიცების შემდეგ.

დანართი 1

იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვა-იუნკერების ანკეტირება
 გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ 1 სავარაუდო პასუხი.
 მადლობას მოგახსენებთ კითხვარის შევსებისთვის.

1. თვლით თუ არა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის სასწავლო აუდიტორიებში იუნკერთა ოპტიმალური რაოდენობაა?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

2. სალექციო/პრაქტიკუ ჯგუფში რა რაოდენობის იუნკერების ოდენობაა ადეკვატური?

| 50-ზე ნაკლები | 50-70 | 70 ზე მეტი |
|---------------|-------|------------|
| | | |

3. აკადემიის სასწავლო ფართი იძლევა სწავლების შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

4. აუდიტორიებში იუნკერთა განთავსება უზრუნველყოფს სწავლებისათვის სათანადო გარემოს?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორთა რაოდენობა ადეკვატურია?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

6. გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები

გამოკითხვის მიზანია:

- იუნკერთა კონტიგენტის ოპტიმალური დაგეგმვა;
- თქვენი მოლოდინების განსაზღვრა
- დაწესებულების მხრიდან აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- სწავლებისათვის ეფექტური პირობების შექმნა

გმადლობთ ინფორმაციისთვის!

დანართი N2

იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვა- ადმინისტრაციის ანკეტირება

გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ 1 სავარაუდო პასუხი

მადლობას მოგახსენებთ კითხვარის შევსებისთვის

1. თვლით თუ არა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის სასწავლო აუდიტორიებში იუნკერთა ოპტიმალური რაოდენობაა?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

2. სალექციო/პრაქტიკულ ჯგუფში რა რაოდენობის იუნკერების ოდენობაა ადეკვატური?

| 50-ზე ნაკლები | 50-70 | 70 ზე მეტი |
|---------------|-------|------------|
| | | |

3. აკადემიის სასწავლო ფართი იძლევა სწავლების შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

4. აუდიტორიებში იუნკერთა განთავსება უზრუნველყოფს სწავლებისათვის სათანადო გარემოს?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სამხედრო ინსტრუქტორების რაოდენობა ადეკვატურია?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

6. აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სამხედრო ინსტრუქტორების დატვირთვა პროგრამების ადეკვატურია?

| კი | ნაწილობრივ | არა |
|----|------------|-----|
| | | |

7. გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები

გამოკითხვის მიზანია:

- იუნკერთა კონტიგენტის ოპტიმალური დაგეგმვა;
- თქვენი მოლოდინების განსაზღვრა;
- დაწესებულების მხრიდან აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის/სამხედრო ინსტრუქტორებისათვის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- სწავლებისათვის ეფექტური პირობების შექმნა;

გმადლობთ ინფორმაციისთვის!